საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-433

ქ. თბილისი

25/05/2020

ქ. ქუთაისში შპს „გლობალ რისაიქლინგის“ ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-16 პუნქტის და მეორე დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ქუთაისში შპს „გლობალ რისაიქლინგის“ ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №45 (21.05.2020);
2. შპს „გლობალ რისაიქლინგმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №45 (21.05.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გლობალ რისაიქლინგს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლობალ რისაიქლინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი